

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ბოხვაურის მაჟორიტარი დეპუტატის, გელა ჩავლეშვილის მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის

ანგარიში

ანგარიში მოიცავს 2017 წლის 27 ნოემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდს და შედგენილია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 88-ე მუხლის და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“-ს წარდგენით მივიღე მონაწილეობა და გავხდი საკრებულოს წევრი სოფელ ბოხვაურის ადმინისტრაციული ერთეულიდან.

ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე. საანგარიშო პერიოდში უფლებამოსილებას ვანხორციელებდი საკრებულოს „საფინანსო-საბიუჯეტო“ და „სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის“ კომისიებში.

საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მივიღე საკრებულოს, ბიუროს, კომისიებისა და ფრაქციის სხდომებში. როგორც საკრებულოს წევრი აქტიურად ვმონაწილეობდი საკრებულოს მიერ კანონქვემდებარე სამართლებრივ აქტების მიღება-დამტკიცებაში. შეხვედრები მქონდა ამომრჩევლებთან როგორც საკრებულოს ასევე სოფლის ადმინისტრაციულ შენობაში.

მოქალაქეთა შეხვედრებზე გამოკვეთილი სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემატიკიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა და სოციალური საკითხები. სწორედ ამ მიმართულებით იქნა წარმართულილი ჩემი ძირითადი მუშაობა.

განხორციელებული პროექტებიდან აღნიშვნის ღირსია ბოხვაური-შემოქმედის 5 კილომეტრიანი გზის რეაბილიტაცია. ამ პროექტის პირველი და მეორე ეტაპი 2016-2017 წლებში განხორციელდა, ხოლო მესამე ეტაპი(1340 გრძივი მეტრი) საანგარიშო პერიოდში დასრულდა. პირველი და მეორე ეტაპის ღირებულება 1 138 501 ლარს შეადგენდა, ხოლო მესამე ეტაპისა კი 494215 ლარს.

ცალკეული ლოკალური საგზაო პრობლემების მოსაგვარებლად საანგარიშო პერიოდში გზის მოხრეშვა განხორციელდა სხვადასხვა უბანში. ჯამურად შეტანილია 60კმ/მ ქვიშა-ლორღი და შესრულებულია შესაბამისი სამუშაოები გრეიდერით.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა დვაბზუ-ჭალის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოთა დოკუმენტაციის მომზადება.

რამდენიმე სიტყვით მინდა მოგახსენოთ ჭალის ეკლესიის აღდგენის პერსპექტივის თაობაზე.

როგორც მოგეხსენებათ აღნიშნული ეკლესიის ნაშთები კულტურულ მემკვიდრეობათა ნუსხაში 2017 წლიდან მოხვდა. იმისათვის რომ ეკლესიის აღდგენითი სამუშაოების პროექტი მომზადდეს, რაც სოლიდურ თანხებთანაა დაკავშირებული, საწყის ეტაპზე, აუცილებელია ეკლესიის ნაშთების საფუძველი გამოკვლეული იქნას გეოლოგების მიერ.

სწორედ აღნიშნული გეოდეზიური კვლევა იქნა განხორციელებული სპეციალისტების მიერ საანგარიშო პერიოდში და მისი ხარჯები ადგილობრივი ბიუჯეტიდან იქნა დაფინანსებული(3850 ლარი).

საანგარიშო პერიოდში სოფელ ბოხვაურში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებათა ფარგლებში ერთ ოჯახს გადაეცა 176 კვ/მ თუნუქი და 2,1 კბ/მ ხის მასალა(ღირებულება 4100 ლარი).

სოციალური დახმარების სხვადასხვა პროგრამით (მედიკამენტებით ერთჯერადი დახმარება, მკურნალობა, ოპერაცია და ა.შ.) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსდა 118-ზე მეტი ჭალა- ბოხვაურელი. გარდა ამისა 5 მოქალაქეს გაეწია დახმარება ც ჰეპატიტის კვლევების კუთხით, ხოლო 7 მოქალაქეს ონკოლოგიური მიმართულებით მკურნალობაში.

მოკლედ შევჩერდები იმ პროექტებზე, რომელთა განხორციელებაც მიმდინარეობს ან გათვალისწინებულია 2019 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში:

1)დვაბზუ-ჭალის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები(ღირებულება 361350 ლარი);

აღნიშნულ პროექტზე უკვე დასრულებულია ტენდერი, კონკურსში გამოვლენილია გამარჯვებული და უახლოეს მომავალში ველოდებით მუშაობის დაწყებას;

2) მიმდინარე წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ბოხვაური-ჭალის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოთა დოკუმენტაციის მომზადება;

3)სოფლის მხარდაჭერის პროგრამით შესრულდება ბოხვაურის და ჭალის ცენტრების კეთილმოწყობის სამუშაოები(ღირებულება 75 000 ლარი).

4)ამჟამად მიმდინარეობს ბოხვაურის საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოები, რაც გულისხმობს შენობის შიდა რემონტსა და ფასადის ჰიდროიზოლაციის სამუშაოებს(ღირებულება 8997,34 ლარი).

დასასრულს, მადლობა მინდა გადავუხადო საკრებულოს შემადგენლობას და საკრებულოს აპარატს ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის.

საკრებულოს წევრი, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე, ბოხვაურის მაჟორიტარი

გელა ჩავლეშვილი

28.02.2019წ.
